სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 ოქტომბერი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/86

„2024-2025 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/63 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (MES 3 24 0001316984, 11.10.2024) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/63 დადგენილებით დამტკიცებულ ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წელს მისაღებ კონტინგენტში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, სადოქტორო პროგრამაზე „ფილოლოგია“ სტუდენტთა რაოდენობა 8-ის ნაცვლად განისაზღვროს 9 ადგილით და აღნიშნულის გათვალისწინებით, ბსუ-ს აკადემიური 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/63 დადგენილების N1 დანართი ჩამოყალიბდეს წინადმებარე დადგენილების **დანართი N1-ის** შესაბამისად.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება გადაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„2024-2025 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/63 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის № 06-01/86 დადგენილების

დანართი 1.

2024-2025 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი

№	ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის აკრედიტაციის ვადა	მისაღები კონტინგენტი (ადგილების რაოდენობა)	შენიშვნა
1	ბიოლოგია	31.12.2027	6	
2	ბიზნესის ადმინისტრირება	31.12.2024	5	
3	ისტორია	28.02.2030	4	
4	ფილოლოგია	31.03.2030	9	დაემატა 1 ადგილი აკად. საბჭოს 24.10.2024 წ. №06-01/86 დადგენილებით